



ჯულიან ბარნსი

ინგლისი, ინგლისი

დიდგენის
ბიბლიოთეკა

ჯულიან ბარნსი
ინგლისი, ინგლისი

Julian Barnes
ENGLAND, ENGLAND

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

ქართული
წიგნის
აქოვნალი
სახედი



საპარამულოს კალუბრისა
და კაპლუსა ზუკაშის
სამწიგნობრო

წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

© Julian Barnes 1998
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-499-1

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

პეტრე

სარჩევი

პირველი ნაწილი: ინგლისი	9
მეორე ნაწილი: ინგლისი, ინგლისი	39
პირველი თავი	41
მეორე თავი	142
მესამე თავი	234
მესამე ნაწილი: ანგლეთი	317

პირველი ნაწილი

ინგლისი

– სულ პირველი რა გაგონდებო? – ეკითხებოდნენ ხოლმე, და ისიც პასუხობდა, არ მახსოვსო...

უმეტესობა ამას უნიათობად უთვლიდა, თუმცა თითო-ოროლა ისეთიც გამოერეოდა ხოლმე, ამგვარ პასუხში შეფარული ეშმაკობა რომ ეჩვენებოდა. არადა, თავადაც მართლა ასე სჯეროდა.

– ვიცით, რასაც გულისხმობ, – ეუბნებოდნენ ყველაფრის ახსნისა თუ გამარტივებისათვის მზადყოფი კეთილმოსურნეები, – პირველი მოგონების მიღმა მუდამ იმალება ხოლმე ერთი ისეთი, ვერაფრით რომ ვერ გააცოცხლებ...

თუმცა, არა, თვითონ ამას არ გულისხმობდა. მისი პირველი მოგონება არც პირველ თვიურს უკავშირდებოდა, არც პირველ შეყვარებულს, არც პირველ კოცნას, არც ქალიშვილობასთან გამოთხოვებას, არც პირველ ქორწინებას, არც პირველი შვილის გაჩენას, არც მშობლის სიკვდილს და არც სასონარკვეთის პირველ უეცარ განცდას – მოკლედ, არაფერს ზემოთ ჩამოთვლილთაგან. ეს არ გახლდათ მყარი, წონადი რამ, რასაც დრო თავისებურად ჯიუტად, დამცინავად, ზოგჯერ რაღაც თვალისმომჭრელი სამშვენისებით მორთავს ხოლმე: ნისლის თხელი ნაფლეთით, საავდრო ღრუბლითა თუ დიადემით – ოღონდ ვერასოდეს კი ვერ ამოაგდებს

სათვალავიდან. მოგონება იმთავითვე არ გახლავთ საგანი – ის უბრალოდ... ხსოვნაა. დღეის გადასახედიდან – ცოტა ადრინდელის, მანამდელის, ან უკვე კარგა ხნის წინ გარდასულის თაობაზე. ასე იმასსოვრებს ხალხი მკაფიოდ ვილაცის სახეს, ვილაცის კალთას, ახლად ამწვანებულ მდელოს, ძაღლს, დიდედას, ნაჭრის ტიკინის ღეჭვით დამბალ ყურს... ახსოვთ თავიანთი საბავშვო ეტლი, ამ ეტლიდან დანახული მიდამოც და ამავე ეტლიდან გადმოვარდნაც; თავის მირტყმა ყვავილების ქოთანზე, უფროს ძმას საგანგებოდ რომ ამოეყირავებინა, რათა ზედ შემდგარს, უკეთ შეეთვალეიერებინა მავანი ახალმოსულეები (თუმცა, მრავალი წლის შემდეგ, ეჭვიც გაუჩნდებოდათ – ეგებ იმ ჩემმა ძმამ მძინარე გამომაღვიძა და თავიც ძალით მიმარტყმევინა ქოთანზე, პირველყოფილი ძმური მრისხანებით შეპყრობილმაო). ადამიანებს ეს ყოველივე მტკიცედ, ერთმნიშვნელოვნად ჩარჩენიათ ხსოვნაში, ოღონდ ვინ იცის – სხვათა მონათხრობის წყალობით, მდიდარი წარმოსახვის კარნახითა თუ ვინმეს შეგნებული მცდელობით – შიგ გულში წაავლონ მსმენელს ორი თითი და ისე მაგრად მოუნწურონ, სიყვარულით ჩაულურჯონ კიდევ. თუმცა თავად მას არანაირი მიზეზისა თუ განზრახვის არ სწამდა: მართა კოკრინს ცხოვრების გრძელი გზა გამოეწვლო და მთელი ამ ხნის მანძილზე ვერასოდეს გადასწყდომოდა იმგვარ პირველ მოგონებას, რაც, მისი აზრით, მართლა პირველი იქნებოდა.

თავადაც ამიტომ ცრუობდა.

ასე ამბობდა, სულ-სულ პირველი ის მახსოვს, როგორ ვზივარ სამზარეულოს ქილოფდაფენილ იატაკზე და ნახვრეტში კოვზს ვჩრი, რისთვისაც ქეჩოში წამითაქებენ, თავს კი მაინც სრულიად უსაფრთხოდ ვგრძნობ, რადგან ჩემს ზურგს უკან დედაჩემი ღიღინებს თავისთვისო. სულ ასე ღიღინებდა, როცა კი სამზარეულოში დაფუსფუსებდა და თან ისეთ სიმღერებს, რომლებსაც მართა სხვა დროს ყურსაც არ მიუგდებდა. დღესაც, როცა რადიოში ან „შენ ხარ, რაც ხარ“ ან „მდინარესთან გელოდები“, ანდა „დღე და ღამე“ ესმის ხოლმე, უეცრად ცხვირში ჭინჭრის წვნიანისა თუ მოხრაკული ხახვის სუნი სცემს... განა უცნაური არაა? კიდევ ერთი

სიმღერაც იყო ასეთი – „სიყვარულზე უცნაური არაფერია“, რაც მუდამ გაფცქვნილ-განსურული ფორთოხლის გემოს უტოცხლებდა. მოკლედ, იმ ჭილოფზე მთელი ინგლისის საგრაფოების ასანყობი თავსატეხის ნატეხები მიმოფანტათ და დედაც ხელს ნაუკრავდა ხოლმე – ზღვისა და მინის საზღვრების შეკონინებაში ეხმარებოდა, მას კი ასანყობად ისლა დარჩენოდა, ზედ კორნუოლიც მიება, რომელსაც ახლა სკამზე მჯდარ ბებრუხანას ამსგავსებდა. რალა თქმა უნდა, ჯერ სიტყვაც არ ეცოდინებოდა ასეთი – „კორნუოლი“, და ხომ იცით, ბავშვებს როგორ სურთ, იოლად გამოძვრნენ – ძალით შეაკონინონ ნარჩენები, პირველსავე ნაგლეჯს ნაავლებენ ხელს და ჯიუტად ცდილობენ, სიცარიელე იმით ამოავსონ. ეტყობა, მანაც ლანკაშირი ჩაბლუჯა და გულით მოინდომა, კორნუოლობა გაენე-ვინებინა მისთვის...

კი, სწორედ ეს გახლდათ მისი პირველი მოგონებაცა და პირ-ველი შელამაზებული, უბოროტოდ გამოგონილი ტყუილიც. მერე ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ვილაც სხვაც, ვისაც ბავშვობაში ისეთივე სათამაშო თავსატეხი ჰქონია და მამინ დიდი დავა-კამათი ინყებოდა იმის თაობაზე, თუ რით უნდა დანყებულყო ნახევარ-კუნძულის შეკონინება. ჩვეულებრივ, ასეთად კორნუოლი მიიჩნეო-და, თუმცა ზოგჯერ – ჰემფშირიც, რაკი მას უაითის კუნძულიც ზედ ერთვოდა, ზღვაში იყო შეჭრილი და იოლად ჯდებოდა კიდეც მისთვის განკუთვნილ ფოსოში. თუ კორნუოლი და ჰემფშირი არა, მამინ უკვე აღმოსავლეთ ანგლეთი, რადგან ნორფოლკი და სა-ფოლკი და-ძმასავით შეწყვილებოდნენ ერთურთს, ანდა ცოლ-ქმა-რივით ჩახუტებოდნენ, ანდა სულაც ნიგვზის ორი ლებანივით მი-წებებოდნენ ერთმანეთს. მერე კენტის საგრაფოც გამოჩნდებოდა, რომელსაც თითი თუ სულაც ცხვირი გამაფრთხილებლად მიემვირა კონტინენტისკენ: ჭკუით იყავით, მანდაურო უცხოტომელებო... ოქსფორდშირი გოლფის ჯოხს უღერებდა ბაკინგემშირს და მშრალ-ზე ტოვებდა ბერკშირს. ნოტინგემშირი და დერბიშირი მიჯრით მიწ-ყობილ სტაფილოებსა თუ ფიჭვის გირჩებს ნააგავდნენ; კარდიგანი კი ზღვის ლომივით სლიკინა და გლუვი ჩანდა. ამ მშვიდი დავა-კა-

მათისას იმასაც იხსენებდნენ, რომ მოზრდილი, მკაფიოდ მოხაზული საგრაფოების უმეტესობა კიდეზე ლაგდებოდა და როცა იმათ სათანადო ადგილს მიუჩენდი, შუაში უკვე სხვადასხვა, ყარტა-ყურტა, უცნაურად მიჩხლართული წვრილფეხობის სივრცელა რჩებოდა და ქაჯიც ვერ გარკვევდა, სად უნდა ჩაგეჩხირა, სიტყვაზე, სტეფორდშირი. მერე თითოეული საგრაფოს ფერის გახსენებასაც ცდილობდნენ, რადგან ბავშვობაში ფერიც არანაკლებ მნიშვნელოვნად ეჩვენებოდათ, ვიდრე თავად სახელწოდება. ამდენი ხნის გადასახედიდან, კორნუოლი მოიისფრო ჩანდა, იორკშირი – ყვითელი, ნოტინგემშირი – ყავისფერი... თუ ეს ნორფოლკი იყო ყვითელი? ანდა მისი ლვიძლი და – საფოლკი? და ყველა ეს მოგონება, თუნდაც დამახინჯებული, მაინც ნაკლებად ჰგავდა ტყუილს.

მაგრამ ეს კი – ფიქრობდა ხოლმე – შესაძლოა მართალი, დაუმახინჯებელი მოგონება იყოსო: აი, იატაკიდან დგება – უკვე სამზარეულოს მაგიდას უწვდენს ხელს და მისი თითებიც ახლა უფრო სწრაფად, სწორად და პატიოსნად ახარისხებენ ფერად-ფერად საგრაფოებს. აღარ ცდილობენ, ძალით აქციონ სამერსეტი კენტად; როგორც წესი, ის უკვე სწორად მიუყვება სანაპირო ზოლს: ჯერ კორნუოლი, მერე დევონი, სამერსეტი, მონმაუთშირი, გლამორგანი, კარმათენი, პემბროკშირი (რაკილა თავად ინგლისს უელსიც ჩაეყლაპა, ეს იმ ბებრუხანას გამობერილ მუცლად ეხატებოდა) და ასე, უკან – ისევ დევონისაკენ. მერე დანარჩენ ფოსოებსაც ავსებდა და ბოლოსათვის ქვეყნის შუაგულის ქირვეულ საგრაფოებს იტოვებდა; როცა ყველა ნაწილს სათანადო ადგილს მიუჩენდა, როგორც წესი, ერთი ცალი მაინც აკლდებოდა ხოლმე. ეს ან ლესტერშირი უნდა ყოფილიყო, ან დერბიშირი, ან ნოტინგემშირი, ან უორვიკშირი ან სტეფორდშირი, რაც სასონარკვეთის, მარცხისა და სამყაროს არასრულყოფილებით იმედგაცრუების გრძნობას უჩენდა, ვიდრე ასეთ დროს მუდამ მის გვერდით მყოფი მამა სრულიად წარმოუდგენელ ადგილას არ მიაგნებდა ხოლმე იმ დაკარგულ მუყაოს ნაგლეჯს. არა, მაინც რა ესაქმებოდა სტეფორდშირის მამამისის შარვლის ჯიბეში?! იქ როგორ უნდა მოხვედრილიყო? ახტა, დახტა და

ჩახტა?! იქნებ კატამ დამალა? სახეგაბადრული, უარის ნიშნად აქნევდა თავს მამის ამ შეკითხვებზე და არაფერს ნაღვლობდა, რაკი სტეფორდშირიც ეპოვათ და მისი თავსატეხიც – ინგლისიცა და იმისი გულიც კვლავ გამთელებულ-გამთლიანებულიყო.

აი, ეს უკვე უტყუარი მოგონება იყო, თუმცა მართას მაინც ღრღნიდა ეჭვი, რადგან უტყუარობა – უტყუარობად, მაგრამ დაუმახინჯებელი რამდენად ეთქმოდა? იცოდა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად მომხდარიყო, რადგან არაერთხელ განმეორდა, ოღონდ უკვე საბოლოო გამთლიანებისას ყოველი ცალკეული შემთხვევის გამოსარჩევი ნიშნები გადღაბნილ-დაკარგულიყო. ამიტომ ახლა უნევდა, ხელახლა მოეგონებინა სხვადასხვა ამბავი – მაგალითად, როგორ მოუწია მამას წვიმაში გასვლა და სტეფორდშირიც მთლად დამბალი დაუბრუნა... ან როგორ ჩაუკეცა კუთხე ლესტერშირს. ბავშვობის მოგონებები ძილიდან გამოყოლილ სიზმრებს ჰგავდა: სიზმრები მთელი ღამე ან ღამის მეტი წილი გესიზმრება და მაინც, გამოღვიძებულს, ერთადერთი მოგონებალა გრჩება – როგორ მიგატოვებს, როგორ გიღალატეს, ხაფანგში გაგაბეს ანდა სულაც გაყინულ მინდორში მიგაგდეს. ზოგჯერ ამდენიც არა – მარტო ამგვარი ამბებით აფორიაქებული შეგრძნებების მინავლებული, მქრქალი სურათი...

უნდობლობის სხვა მიზეზიც არსებობდა. თუკი ხსოვნა საგანი კი არა, მოგონების მოგონების მოგონება, ერთმანეთის მიმყოლი სარკეების წყება გახლდათ, მაშინ იმდროინდელის თაობაზე გონების მიერ ახლა ნაკარნახევი, უთუოდ შუალედში მომხდართაც უნდა ყოფილიყო შეფერილი. ეს იმას ჰგავდა, ქვეყანა რომ საკუთარ ისტორიას იხსენებს: წარსული არასდროსაა მხოლოდ წარსული – ის თან აწმყოს გამართლებად უნდა გამოდგეს. იგივე ითქმის ცალკეულ ადამიანებზეც, თუმცა კი, ამ შემთხვევაში, პირდაპირი ხიდის გადება უფრო ჭირს: განა რა ამასხოვრდებათ ცხოვრებით გულგატეხილებს? უღრუბლო დღეები თუ პირიქით – ის ყოველივე, რაც მათივე განვლილი გზის სავალალო შედეგს ამართლებს? მეორე მხრივ, ბედით კმაყოფილნიც უწინდელ კმაყოფილებას იმახ-

სოვრებენ თუ წინააღმდეგობათა ძლევის ცალკეულ შემთხვევებს? ადამიანის გარეგან გარსსა და შინაგან არსს შორის მუდამ იბუღებს შუამავალი – იქნება ეს პროპაგანდის მანქანა თუ ყიდვა-გაყიდვის ინდუსტრია.

არც საკუთარი თავის მუდმივი მოტყუების ჩვევაა გამოსარიცხი. ეგ იმიტომ, ამ ყველაფრის აღიარების შემთხვევაშიც კი, როცა მახსოვრობის მექანიზმის მთელ გარყვნილებასა და სისადაგლეს აცნობიერებ, შენ – ყოველ შემთხვევაში, შენი რალაც ნაწილი მაინც – ამის მიუხედავადაც ენდობა იმ ნაღდ საგანს – დიახ, საგანს – რასაც მერე მახსოვრობას არქმევ სახელად. უნივერსიტეტში სწავლისას მართა ერთ ესპანელ გოგოს, კრისტინას დაუმეგობრდა. მათი ქვეყნების გადაჯაჭვული ისტორია – ან, ყოველ შემთხვევაში, ამ ისტორიის სადაო ნაწილი მაინც – საუკუნეთა უკან დარჩენილიყო, ოღონდ როცა კრისტინამ ნახევრად ხუმრობით გადაუკრა სიტყვა – ფრანსის დრეიკი მეკობრე იყო, თვითონ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, რაკი იცოდა, ინგლისელთათვის დრეიკი პირველ რიგში გმირი, რაინდი, ადმირალი და, შესაბამისად, ჯენტლმენი გახლდათ. ოღონდ მერე კრისტინამ უკვე დაბეჯითებით, ხუმრობაგაშვებით გაუმეორა იგივე და მართამაც დაასკვნა, ამას დამარცხებულთათვის ჩვეული რამ – საკუთარი თავის ნუგეშისცემის სურვილი ალაპარაკებსო. მაინც ჩახედა ბრიტანულ ენციკლოპედიას და იქ დრეიკის მეკობრეობაზე თქმული ვერაფერი ნახა, სამაგიეროდ სიტყვები „მიმტაცებელი“ და „ალაფი“ ხშირ-ხშირად მეორდებოდა. მიხვდა, ვიდაცისთვის ალაფის მოყვარული სხვისთვის თამამად შეიძლებოდა მეკობრედ მიჩნეულიყო. მაგრამ პირადად მართასთვის სერ ფრანსის დრეიკი მაინც მარად შეურყვნელ გმირად დარჩა.

როცა განვლილ ცხოვრებას იხსენებდა, იმგვარი მკაფიო, მრავლისმეტყველი მოგონებები უცოცხლდებოდა, რომელთა უტყუარობაშიც, ცოტა არ იყოს, ეჭვი ეპარებოდა. განა რა შეიძლებოდა უფრო ცოცხლად შემორჩენოდა მახსოვრობას, ვიდრე ის დღე სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე? იმ დღეს

მუქ ლურჯ ცაზე ცელქი ღრუბლები დარიალებდნენ, აქეთ-იქიდან მშობლებს ჩაევლოთ მისთვის ხელი და დროდადრო ცისკენ ღონივრად ააქანებდნენ ხოლმე, რის მერეც, მიწაზე დაშვებულს, რბილი ბალახი ელამუნებოდა კოჭებზე. მღვდლების სახლებივით მყარად ნაგები, თეთრი, ზოლიანჩარდახიანი პავილიონები და მათ უკან წამომართული გორაკი, საიდანაც უდარდელი, ზინტლიანი ცხოველები ქედმაღლურად დასცქეროდნენ თვალსასერიოდ გამოფენილ თავიანთ მოვლილ-ნაპატიებ თვისტომებს; ძალამოკრებილი სიცხე და ლუდხანად გამართული კარვიდან გამოვარდნილი ოხშივარი; სახელდახელოდ წამომართულ საპირფარეშოებთან დამდგარი რიგები და არცთუ განსხვავებული სუნი მათ შორიახლოს; კუბოკრული პერანგების ღილებზე ჩამოკონწიალებული, მუყაოს სამკერდე ნიშნებით აღჭურვილი მეთვალყურეები; ქალები, ნაზბენვიან თხებს რომ ელოლიაგებოდნენ და ნაჯაფარ ტრაქტორებზე ამაყად შემომსხდარი მამაკაცები; პონიდან ჩამოვარდნილი, ცრემლებად დაღვრილი ბავშვები და სასწრაფო დახმარების მანქანა იმის მოლოდინში, მავან ბანოვანს გული არ შეღონებოდა, ვინმე მუშაითი ბაგირიდან არ ჩამოვარდნილიყო, ან საერთოდ, რაიმე არ მომხდარიყო სამაგათო.

ოღონდ ეგეთი არც არაფერი მომხდარა – ყოველ შემთხვევაში, არა იმ დღეს, არა იმ დღის მოგონებებში. კიდევ მრავალი ათწლეული ინახავდა მაშინდელ საცნობარო ბროშურას, რომლის იჩხიბი კაზმულსიტყვაობის მეტი წილი ზეპირადაც კი დაისწავლა:

საადგილმამულო სასოფლო-სამეურნეო და მიბაღითა საზოგადოების ჯილდოების წუსხა

რბილ, წითელ ყდაში ჩასმული სულ რაღაც ოციოდე ფურცელი თუ იქნებოდა, მაგრამ პირადად მისთვის ბევრად მეტს ნიშნავდა: თვალსაჩინოც იყო, თუმცა ერთ სურათსაც ვერ ნახავდი შიგ; შემეცნებითიც, სასარგებლოც და ჯადოსნური ხიბლის მქონეც. მოკლედ, მახსოვრობის საუკეთესო სავარჯიშო.

სამი გრძელი სტაფილო;
სამი ჯუჯა სტაფილო;
სამი თალგამი (სხვადასხვა ჯიშისა);
ხუთი მოგრძო კარტოფილი;
ხუთი მრგვალი კარტოფილი;
ექვსი მარცვალი ლობიო;
ექვსი მარცვალი წითელი ლობიო;
ცხრა მარცვალი წვრილი ლობიო;
ექვსი თავი დიდი წითელი ხახვი;
ექვსი თავი პატარა წითელი ხახვი;
ექვსი თავი დიდი თეთრი ხახვი;
ექვსი თავი პატარა თეთრი ხახვი;
ბოსტნეულის ნაკრები – ექვსი სხვადასხვა სახეობა; თუ მასში
ყვავილოვანი კომპოსტოც შედის, უთუოდ ფოთლებიანად
უნდა იქნას წარმოდგენილი;
ბოსტნეულიანი ლანგარი. დასაშვებია შელამაზება, ოღონდ –
მხოლოდ და მხოლოდ ოხრახუშით;
ხორბლის ოცი თავთავი;
შვრიის ოცი თავთავი;
ახლადნათესი კორდის ბელტი, მუყაოს ყუთში;
მუდმივი საძოვრის კორდის ბელტი იმავენაირ ყუთში;
ბეითლის მიერ გასინჯული თხები საბელით უნდა ატაროთ
და მუდმივად დაიცვათ ორიარდიანი მანძილი მათსა და ჯერ
შეუმონმებელ თხებს შორის;
ყოველი საგამოფენო თხა დედალი უნდა იყოს;
164-ე და 165-ე კატეგორიებში წარმოდგენილ თხებს ერთხელ
მინც უნდა ჰყავდეთ მოგებული ციკანი;
ციკნობა გრძელდება თხის ნაშიერის გაჩენიდან 12 თვემდე;
ქილა მურაბა;
ქილა თხელი ხილფაფა;
ქილა სქელი ხილფაფა;
ქილა ნივრის მწნილი;

ქილა საკმაზი;

ერთი უშობელი და ერთიც მენველი ძროხა;

ჯილებზე შემონმებული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი საბელით უნდა ატაროთ და მუდმივად დაიცვათ სამიარდიანი მანძილი მათსა და შეუმონმებელ პირუტყვს შორის.

მართას ყველა სიტყვა არც ესმოდა და მითითებებსაც ბევრს ვერაფერს უგებდა, მაგრამ ჩამონათვალთა მშვიდი წესრიგი და საქმიანი ზეიმურობა მაინც დიდი კმაყოფილების განცდას უჩენდა.

სამი გრძელღეროიანი ტიტა, არანაკლებ 8 დუიმის სიმაღლისა, თითო – თითო ლარნაკში;

სამი მოკლედღეროიანი ტიტა, სამიდან ექვს დუიმამდე სიმაღლისა, ყველა ერთ ლარნაკში;

ოთხი კაქტუსი, 4-6 დუიმის სიმაღლისა, თავ-თავიანთ ქოთნებში.

მოკლედ, ფლორა-ფაუნის ზეიმი გახლდათ ნამდვილი. რალას არ ნახავდა იქ კაცის თვალი!

მშობლების საიმედო ხელები ლამის მთლად ცაში აისვრიდნენ ხოლმე, ხოლო როცა ძირს უშვებდნენ, ისიც დედ-მამასთან ერთად საქმიანად დააბიჯებდა ფიცარნაგზე, ტილოს ჩარდახებქვეშ, გახურებულ, ათასნაირი ბალახბულახის სურნელით გაჯერებულ მოედანზე. ისეთი თავდაჯერებით იმეორებდა ზეპირად იმ პატარა წიგნის სიტყვებს, თითქოს მისივე დაწერილი ყოფილიყო. ასე ეგონა, თვალსაჩინოებისათვის გამოფენილი ყველა ეს სახილველი მხოლოდ მაშინ იარსებებდა სინამდვილეში, თუკი ყველას თავ-თავის სახელით მოიხსენიებდა და შესაბამისადაც დააჯგუფებდა.

– აბა, აქ რა გვაქვს, ქ-ნო თავუნია?

– ორი-შვიდი-ნოლი. ხუთი საკომპოტე ვაშლი.

– მართალი ხარ, ხომ იცი. ნაღდად ხუთია. რა ჯიშია, აღარ იტყვი?

მართამ კვლავ თავის ბროშურას ჩახედა:

– ნებისმიერი ჯიშისო...

– მთლად გადასარევი. ნებისმიერი ჯიშის საკომპოტე ვაშლი! ერთი, მაღაზიებშიც უნდა მოვიკითხო, – მამა სულ ცდილობდა, ხმაში ქილიკი არ გარეოდა, აი, დედას კი ეცინებოდა და ასეთ დროს, რატომღაც, მართას თმას უსწორებდა ხოლმე.

იმასაც უცქერდნენ, დაკუნთული, გაოფლილი ჯეელები როგორ იმწყვდევენ ლაჯებშუა ცხვრებს და მაკრატლის რამდენიმე გაჩხაკუნებით როგორ უცებ ათავისუფლებდნენ იმ თავიანთი სქელი ქურქებისაგან. მავთულის დაწნულ გალიებში იმოდენა და ისეთი მოვლილ-ნაპატივები, ფეთიანი ბაჭიები გამოემწყვდიათ, არც ჰგავდნენ ნამდვილებს. იქით სხვადასხვა შეჯიბრი იმართებოდა – საუკეთესოდ მოკაზმული მხედრისა თუ ყველაზე სწრაფი ტერიერის გამოსავლენად. ჩახუთულ კარვებში ათასნაირი ნამცხვარტკბილეული და ნუგბარი გამოეფინათ...

მაგრამ საქმეც ის იყო, რომ გული ყველაზე მეტად მაინც ბატონ ჯოუნზის ბარდამ გაუხალისა – მაშინაც და მერეც ისე იხსენებდა, როგორც რამ წმინდა ნაწილებს. მთავარ ჯილდოდ წითელი ბარათები დაენესებინათ, მეორე ადგილისთვის – ლურჯი, ხოლო წამახალისებლად – თეთრი. ყველა ეს ჯილდო ჯოუნზმა დაითრია, მერე კი აიღო და შავი ხავერდის ნაჭრებზე გამოფინა საკუთარი ნაღვანი.

– მთლად საიუველიროო მაღაზიის დახლს არა ჰგავს, ჩემო კარგო? – დაეკითხა მართას. იცოდა კაცმა, რა და როგორ...

რაც შეეხება სკოლას, იქიდან ყველაზე მეტად გალობა დაამახსოვრდა. მწვანე ფორმებში გამოწყობილები, ოთხ-ოთხად ისხდნენ რიგში და მართლა სანაქებო მუხუდოს მარცვლებს ნააგავდნენ.

ყოველი დღე გალობით იწყებოდა და მთავარი ამრევი მუდამ მართა კოკრინი იყო ხოლმე. მერე უფრო მოსაწყენი გალობანიც ეწყებოდათ – მათემატიკისა და პოეზიის განხრით. თუმცა მთლად გამორჩეული მაინც ისტორიული საგალობლები გახლდათ. აი, აქ უკვე რწმენის იმისთანა ერთგულებას უნერგავდნენ, დილანდელი

მოგონილი იყო. სამლოცველოში გალობას ასე თუ ისე ჩაარაკრა-
კებდი, მაგრამ ისტორიის გაკვეთილზე – ნურას უკაცრავად: ვარი-
კასავით ჩათქვირებული, ასაკოვანი ქ-ნი მეისონი ისე უძღვებოდა
საქმეს, როგორც მავანი გოროზი ქურუმი და ხელის ერთი აქნევით
ალაგებდა ხმებს:

ძვ. წ. აღ. 55 წ. (ხელის აქნევა), რომაელთა შემოჭრა ალბიონზე.
1066 (ცხადია, ხელის აქნევის თანხლებით) – ჰასტინგზის ბრძო-
ლა.

1215 (ისევ ხელების ქნევა) – დიდი ქარტია.

1512 (ერთი აქნევა) – ჰენრი VIII (მეორეც) – ბურჯი სარნმუ-
ნოებისა (აქაც მესამე...)

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მოსწონდა – მართლა ლექსის
სიტყვებით იოლად დასამახსოვრებელი იყო და იმიტომ. თავა-
დაც ლექსავდნენ ხოლმე რალაც-რალაცებს, თუმცა კი ქ-ნი მეისო-
ნი ამის გამო ძალზე ცხარობდა. მოკლედ, სულ გალობ-გალობით
მიინევდნენ წინ, სანამ ინგლისისათვის 1940 წლის საჰაერო ბრძო-
ლებსა და „საერთო ბაზარში“ განევრიანების 1973 წლის, რომში
ხელმოწერილ ხელშეკრულებას არ მიადგებოდნენ.

ასე დაატარებდა ქ-ნი მეისონი თავის შეგირდებს საუკუნეთა
ლაბირინთებში, რომიდან – რომამდე, აქეთ და იქით... ასე უვარ-
ჯიშებდა გონებას და უწრთობდა მახსოვრობას. უყვარდა რაინდთა
თავგადასავლებისა და სხვა დიადი ამბების თხრობაც, არ ავიწყდე-
ბოდა არც შავი ჭირის ხანა თუ სიყმილ-შიმშილობა, ტირანია და
დემოკრატიის ზეობა, სამეფო კარის ბრწყინვალეობა და მოზომი-
ლი ინდივიდუალიზმის ღირსება-სიკეთეები; ინგლისის, არაგონის,
პორტუგალიისა და ასევე, გენუა-ვენეციის მფარველ წმინდა გიორ-
გისაც ხშირად ახსენებდა, ისევე როგორც სერ ფრანსის დრეიქსა
და მის გმირულ ქმედებებს; ბოადიცეასა და დედოფალ ვიქტორიას;
მავან ადგილობრივ აზნაურს, თავის დროზე ჯვაროსნულ ლაშქრო-
ბაში რომ მიეღო მონაწილეობა, მერე კი სოფლის ეკლესიის ეზოში

დაემარხათ მეუღლის გვერდით, ფერხთით კი მისივე ძალღი მიესვენებინათ...

ისინიც ყურდაცქვეტილები უსმენდნენ, რადგან თუკი ქ-ნი მისონი კმაყოფილი დაურჩებოდათ, გაკვეთილის ბოლოს ისევ გალობა-დეკლამაციას ნამოინყებდა ხოლმე, ოღონდ უკვე – ცოტა განსხვავებულად. დაასახელებდა რაიმე მოვლენას და კლასს თარიღი უნდა შეეშველებინა. იყო ათასი სხვადასხვა თავსატეხი, ხაფანგი თუ ეშმაკობა: თუკი გაიფოქსის შეთქმულებაზე მოინდომებდა ცოდნის შემოწმებას, პირდაპირ კი არ დასვამდა შეკითხვას, იტყოდა – *დენტის ყუთიო*, და მოწაფეებსაც პასუხად ათას ექვსას ხუთიო – უნდა მიერიტმათ. აქეთ-იქით დაატარებდა ორ ათასწლეულში და ისტორიაც დროში განფენილ შავი ხავერდის ნაჭრებად იშლებოდა. კარგა ხნის მერე, როცა მის ცხოვრებაში მოსახდენი მოხდა, მართა კოკრინს ნაბეჭდი თარიღისა თუ გვარსახელის დანახვაზე იმნამსვე დირიჟორივით ხელებაქნეული ქ-ნი მისონი უდგებოდა თვალწინ. *ტრაფალგარი, 1805 – საწყალ ნელსონს ტყვია მოხვდა ფუთი... ძვირად დაუჯდა ედვარდს ცელქობა – 36-ში დათმო მეფობა...*

ვინმე ჯესიკა ჯეიმზი, თანაკლასელი და ვითომც ძაან-ძაან მართლმორწმუნე ქრისტიანი, ისტორიის გაკვეთილებზე მუდამ მის უკან იკავებდა ადგილს, აი, სამლოცველოში კი ეს მართლა ფარისევლის ერთი და ქვეგამხედვარი, სულ მართას წინ გამოიჭიმებოდა ხოლმე. მართა ჭკვიანი გოგო იყო და აქედან გამომდინარე – არც დიდად ღვთისმოსავი. დილის ლოცვაზე თვალებს მაგრად ხუჭავდა და სულ სხვანაირად, დანარჩენებისაგან მეტად განსხვავებულად ლოცულობდა:

*მამაო ჩვენო, სულ არ ვიცი, სად ხარ და ვინა,
ძაან კი მინდა მანქანა და ცალკე ბინა!
ჯერჯერობით ყაბულს ვარ ნაყინზეც,
ნუ იქნება ოღონდ ქარი და წვიმა...*

გიხაროდენ შენი ხოტბა-დიდება,
არავისი არაფერი მინდება –
ისეც იცი, მე რა გამიხარდება:
მაისში ხომ გამოცდები ბარდება!

იმედი მაქვს შენი, როგორც მამის,
დღესაც, ხვალაც და ყოველთვის – აში-ი-ნი!

აქედან ერთი-ორი სტრიქონი ჯერაც გასაშალაშინებელი ჰქონდა, მაგრამ რა ეჩქარებოდა რა – რაც მთავარია, ამაში მკრეხელურს ვერც ვერაფერს ხედავდა, თუ ვინაობა-მყოფობასთან დაკავშირებულ ბუნდოვანებას არ ჩავუკირკიტებდით. რალაც-რალაცები კი გულწრფელად მოსწონდა კიდეც: აი, მაგალითად, მანქანისა და ცალკე ბინის ნატვრა, რასაც ღმერთი – თუკი ნამდვილად არსებობდა – სავარაუდოდ, მეტისმეტ თავხედობად არ ჩაუთვლიდა. ოლონდ ეგ იყო, ჯესიკა ჯეიმზმა გაყიდა თხასავით და თან პირდაპირ კი არ დაასმინა, ისე მოაწყო საქმე, მართას თვითონ გაეცა საკუთარი თავი. ერთ დილით, სწორედ ჯესიკას ნიშანზე, ირგვლივ მდგომმა გოგონებმა ერთბაშად გაკმინდეს ხმა და სამლოცველოშიც მხოლოდ მართას სიტყვები ისმოდა ერთხანს, სანამ თვალი არ გაახილა და ქ-ნ მეისონის გამგმირავ მზერას არ შეეფეთა...

სასწავლო წლის ბოლომდე დანარჩენების წინ მარტოდმარტო აყენებდნენ ხოლმე და ავალებდნენ ხმამაღლა, მკაფიოდ და გულმხურვალედ წარმოეთქვა ლოცვა, რასაც მერე უკვე სხვებიც იმიორებდნენ. თუმცა ცოტა ხანში მიხვდა, რომ ამ დავალებას მშვენივრად ასრულებდა და მართლაც ახლადმოქცეულივით, გულწრფელად მომნანიე დამნაშავის იერით უდასტურებდა ზემდგომებს – სრულად განვინმინდე ცოდვათაგან და ეგებ შეწყალებაზეც გეფიქრათო; ხოლო ქ-ნ მეისონის იჭვენულობა სულაც მალამოსავით ედებოდა გულზე.

ახლა უკვე ჯერიჯერზე გაჰყავდათ ხოლმე გვერდზე, გულითადად სასაუბროდ. ერთთავად იმის გაგებას ცდილობდნენ, რა აიძუ-

ლებდა, ასე ყველასაგან განსხვავებულად მოქცეულიყო. იმასაც უჩიჩინებდნენ, ჭკუისკოლოფობა ხეირს არ დაგაყრისო. აფრთხილებდნენ, მაგ შენი გამოხტომებით ბოლოს იმდენს იზამ, ხმის გაციმიც არავინ გეყოლებათ. იმედს კი გამოთქვამდნენ – ოდესმე გონს მოეგებიო და თან მიანიშნებდნენ, მეტ-ნაკლებად გადაკრულად, არც შენი ოჯახია მთლად დალაგებული, მაგრამ რას იზამ, ადამიანს განსაცდელი იმისთვის ევლინება, ღირსეულად გაართვას თავი და საკუთარი ხასიათი თავადვე გამოაწრთოსო.

რა „გამონრთობა“ იგულისხმებოდა, ბოლომდე არც ესმოდა: ხასიათი ხომ ისაა, რაც იმთავითვე გაქვს ან იმისდა მიხედვით გეცვლება, თუ რა გადაგხდა თავს – როგორც, ვთქვათ, დედამისს დაემართა, რომელიც ამ ბოლო დროს სულ უფრო ფეთქებადი და მოუთმენარი ხდებოდა. მაინც, როგორ უნდა გამოგენართო ეს შენი ხასიათი? აი, ვთქვათ, ფოლადს აწრთობენ, ნელ-ნელა იძენს სიმტკიცეს და მცოდნე უმალ მიხვდება, როდისაა ის მართლა ნაწრთობი, მაგრამ ხასიათს რას უზამ? სრული უაზრობა გამოდიოდა. ძველ ფოტოებზე მართა მუდამ შუბლშეკრული იყო, ტუჩებდაბუმტული და სახემოქუშული – ეტყობა, სამყაროსეულ იდუმალებას თუ ჩაეფიქრებინა... ნეტა რისი ბრალი იყო – ხილული სინამდვილით უკმაყოფილებისა თუ მისივე ურჯუი „ხასიათის“? ეგებ სულ სხვა რამ იყო მიზეზი – აკი დედამისისთვის (როცა ჯერ თავადაც პატარა გოგონა იყო) ვილაცხას ეთქვა, სურათის გადაღებისას მზე უთუოდ მარჯვნიდან უნდა გცემდესო.

ასეა თუ ისე, იმხანად ხასიათის წრთობა მთავარ მიზნად ნამდვილად არ ესახებოდა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერებიდან სამი დღის შემდეგ (იქიდან კი მართლა უტყუარი, მკაფიო, შეულამაზებელი მოგონებები შემორჩა, რაშიც ოდნავი ეჭვიც არ ეპარებოდა) მართა სამზარეულოში მაგიდას უჯდა. დედა შორიახლოს ფუსფუსებდა, ოღონდ არ მღეროდა – ეს კარგად ახსოვს. ახსოვს კი არა, იცის, რაკი უკვე იმ ასაკისთვის მიეღწია, როცა მოგონებები ფაქტის სიმყარეს იძენს; ფაქტი კი ის გახლდათ, რომ დედა სამზარეულოში საქმიანობდა და არ მღეროდა. მართას

ის თავისი ასაწყობი თავსატეხი ბოლომდე შეეკონინებინა, რაც ასევე უტყუარ ფაქტად ჩაითვლებოდა; მხოლოდ ნოტინგემშირის ოდენა ლიობილა დარჩენილიყო მაგიდაზე პირდაფრენილი. ფაქტი იყო ესეც, ისევე როგორც იმ დროს მამამისის იქ არყოფნა. არა-და, ნოტინგემშირი სწორედ მამას უნდა სდებოდა ჯიბეში. მართამ მიმოიხედა და დაინახა, ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი როგორ მოწყდა დედამისის ნიკაპს და წვნიანში მოადინა ტყაპანი. ვერც ამ ფაქტს გაექცეოდი.

ბავშვური ლოგიკით საიმედოდ შეჯავშნულმა, უკვე იცოდა, რომ დედის ახსნა-განმარტებები არ უნდა ერწმუნა – ეგ კი არა, ოდნავ ქედმაღლურადაც კი უცქერდა ხოლმე ამგვარ ცრემლიან გაუგებრობებს. მისთვის ყველაფერი სრულიად მარტივი ჩანდა: მამა ნოტინგემშირის საძებნელად წასულიყო. თავიდან ეგონა, ჯიბეში მიდევსო, მაგრამ როცა მოიძია, იქ ვერაფერი იპოვა. ამიტომაც არ უღიმოდა ახლა მაგიდასთან მჯდომ თავის ქალიშვილს და არც კატისთვის ცდილობდა რამის გადაბრალებას... მამამ იცოდა, მართას განზილება არ ივარგებდა და ამიტომაც, ახლა დაკარგული ნაწილის საძებრად წასულიყო. ამას კი ნავარაუდევზე მეტი დრო დასჭირვებოდა. ცხადია, მალე დაბინდებოდა და ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა კიდევ.

მოგვიანებით – ეს დრო კი მეტისმეტად სწრაფად დადგა – მის ცხოვრებაში იმგვარმა განცდამ დაისადგურა, რომლის სახელდებაც იმხანად ვერანაირად ვერ მოეხერხებინა. თავდაპირველად მამის გაუჩინარება იმით ახსნა, რომ ეს ოხერი ნოტინგემშირი თავადვე მიკარგა სადღაც, ანდა იქ დადო, სადაც ქურდმა მიაგნო და მოიპარა. ამიტომაც მამა, ვისაც ასე ძალიან უყვარდა თავისი პანია თავგუნია და მის განზილებას ვერაფრით შეეგუებოდა (მისი გაბუტული ტუჩების დანახვაზე რომ არაფერი ვთქვათ), დაკარგული ნაწილის მოსაძებნად წასულიყო, რასაც შეიძლება დიდზე დიდი დროც დასჭირვებოდა, თუკი წიგნებსა და ზღაპრებს დაეჯერებოდა რამე. მამა შეიძლება რამდენიმე წელიც ვერ დაბრუნებულყო; იმ დროისათვის ეგებ წვერიც მოზრდოდა და დათოვლოდა კიდევ. თავ-

ვისუფლად შეიძლება, ნაშიმშილარს – როგორ ამბობენ? – ყბა ყბაშიც კი ჰქონოდა გაცმული. და ყველაფერი ეს მისი ბრალი იყო, მისი დაუდევრობისა თუ ქარაფშუტობის, თავად იყო მამის გაუჩინარებისა და დედის დადარდიანების მიზეზი, ამიტომ აღარასდროს უნდა გამოეჩინა არც ასეთი დაუდევრობა და არც ამგვარი ქარაფშუტობა, რადგან მერე ისევ მასვე გაუხდებოდა სანანებლად.

სამზარეულოდან გამოსულმა, იქვე, დერეფანში მუხის ფოთოლი იპოვა. მამას ფეხსაცმლის ლანჩაზე სულ მუდამ ფოთლები ეკრობოდა ხოლმე და ასე ამბობდა, შენს ნახვას ვჩქარობ და იმიტომაც ვერ ვამჩნევ, რას ვაბიჯებ ფეხსო. გაღიზიანებული დედა კი უწყნარობდა, ბავშვს რატომ ეპირფერებო, და მართაც მოთმინებით ელოდა, როდის მორჩებოდა მამა ფეხსაცმლის გულდაგულ წმენდას იატაკის ტილოზე. თვითონ, განწყომის შიშით, ფეხსაცმელს მუდამ დიდი სიფრთხილითა და მონდომებით ინმენდდა და ეს ჩვევა საამაყოდაც კი გახდომოდა. ახლა მუხის ის ფოთოლი ხელისგულზე ედო. მისი დაკბილული კიდე თავსატეხის რომელიღაც ნაჭერს წააგავდა და ამის გაფიქრებაზე უცებ გულზეც მოეშვა. კეთილ ნიშნად თუ რაღაც ამდაგვარად მიიჩნია: თუკი ამ ფოთოლს ისე გაუფრთხილებოდა, როგორც მამის ხსოვნას, მაშინ მამაც იპოვიდა დაკარგულ ნოტინგემშირს და შინაც მშვიდობიანად დაბრუნდებოდა. დედისთვის ამაზე არაფერი უთქვამს, ფოთოლი კი გამოფენიდან წამოღებული წითელყდიანი ბროშურის გვერდებს შორის დააბინავა.

რაც შეეხება ჯესიკა ჯეიმზს, შურისძიების შესაძლებლობა დრომ თავისთავად მოიტანა და მართამაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა – რაკი თავგადაკლულ ქრისტიანობას არ იჩემებდა, მიმტევებლობაც სხვებს დაუტოვა ღირსებად. ამ ჩვენს ჯესიკა ჯეიმზს, გოჭვივით წვრილთვალეებასა და მუზმუზელას, ხმადათაფლულსა და ვირეშმაკას – ჯესიკა ჯეიმზს, ვისი მამაც არასოდეს გაუჩინარდებოდა, ვილაც მეგობარი ბიჭი გამოუჩნდა: აწონილი, მოუხეშავი, მუდამ დაცვარულ-დამაშრულხელებიანი, რაღაცით დაკეპილ ხორცს რომ მიუგავდა; მისი გვარ-სახელი მართას მალევე მიავიწყდა, აი, ხელები კი სამუდამოდ დაამახსოვრდა. ზრდასრული, ალბათ, ყვე-

ლაზე სასტიკ სასჯელად იმას მოიფიქრებდა, ჯესიკა და მისი ეს ბედოვლათი მიჯნური ძველებურად თუ გააგრძელებდნენ ლულუნ-ჟღურტულს და, საბოლოოდ, ჯვარსაც იფსკენდნენ სადმე, სოფლის ეკლესიაში, სამუდამო ერთგულების ფიცით გადაჯაჭვულნი... ახი კი იქნებოდა ორივეზე.

ოლონდ მაშინ მართა ამდენს ვერ მოისაზრებდა. ამის მაგივრად, მეგობრისა და თანამოაზრის, ქეთ ბელამის პირით, იმ ბიჭს შეუთვალა, შენთან ახლო მეგობრობაზე უარს არ ვიქნებოდი, თუკი შეგიძლია შავისა და თეთრის გარჩევაო... იმ დროისათვის მართა უკვე მიმხვდარიყო – ნებისმიერ ბიჭს ავურევ თავგზას, თუკი თავად გულგრილი დავრჩებიო. ახლა მხოლოდ გეგმაზე უნდა შეჯერებულიყო: შეეძლო, უბრალოდ, წაერთმია ბიჭი, ცოტა ხანი გასართობად ეთვალთმაქცა და ჯესიკა ჯეიმზიც მთელი სკოლის თვალში დაემცირებინა. ურიგო არც პატარა სპექტაკლის გათამაშება იქნებოდა: ქეთ ბელამი ჯესიკას ვითომ სასეირნოდ გაიწვევდა და, ვითომ სრულიად შემთხვევით, ისინი მართასა და იმ ბიჭის ხვევნა-შმაშუნის მოწმენი გახდებოდნენ.

მართამ ყველაზე სასტიკი და თან ყველაზე ნაკლებად შრომატევადი შურისძიება აირჩია: ანგელოზივით უმანკო ხმის პატრონ, თუმცა გულბოროტ ქეთ ბელამის ოდნავადაც არ გასჭირვებია ბიჭის დარწმუნება, მართას შენზე გული აქვს შევარდნილიო; ჯერჯერობით მხოლოდ შორიდან გეტრფის, მაგრამ ახლოს რომ გაგიცნობს, მთლად გადაირევაო; ოლონდ ეგაა, საამისოდ ჯერ ჯესიკა ჯეიმზზე საქვეყნოდ უნდა აიღო ხელიო.

რამდენიმედღიანი განსჯა-შფოთვის მერე ბიჭმა ეტყობა, თავისი ჭკუით, შავ-თეთრი გაარჩია და ჯესიკა ჯეიმზიც გულამოსკვნიტ მოქვითინე იხილა მთელმა სკოლამ. გავიდა ხანი, მართა ხან სად ჩნდებოდა ხოლმე, მხიარულად მოკისკისე, და ხან – სად, მაგრამ ბიჭისაკენ ერთხელაც კი არ გაუხედავს. ისიც ადგა და შუამავალს მიადგა, ვინც თავი მთლად მოისულელა და უტიფრად მიახალა: ეტყობა, რაღაც სწორად ვერ გაიგე, თორემ სად შენ და სად – მართა კოკრინიო! აბა, ეგ სისულელე რამ გაფიქრებინაო?! გამ-

წარებული და შეურაცხყოფილი ბიჭი გაკვეთილების მერე მართას დაუდარაჯდა; იმანაც არ დაამადლა და ათი იმდენი უთხრა მისივე გრძნობებისა თუ შეუფერებელი გარეგნობის თაობაზე. ბიჭსაც რა დარჩენოდა – როგორმე უნდა მოენელებინა, როგორც საერთოდ ბიჭების ხვედრია ხოლმე. რაც შეეხება ჯესიკა ჯეიმზს, ვერც ვერასოდეს გაარკვია, ვინ იყო მისი შერცხვენა-დამცირების მიზეზი და მისი ეს დაბნეულობა ლამის სკოლის დამთავრებამდე ახარებდა გამარჯვებულ მართას.

ზამთარი ზამთარს მისდევდა და თანდათან მართაც ხვედებოდა – არც ნოტინგემშირს ენერა პოვნა და არც მამამისს – შინ დაბრუნება. რწმენას იქამდე ინარჩუნებდა, ვიდრე დედამისი მწარედ ტიროდა, რაღაც წვეთებს სვამდა მაღალ თაროზე შემოდებული პანია ბოთლებიდან, მთელი ძალით იკრავდა გოგოს გულში და ეუბნებოდა, ზოგი კაცი ნაძირალაა, ზოგიც – უხერხემლო, ზოგი კიდე – ერთიცა და მეორეცო. ასეთ დროს მართაც იცრემლებოდა, თითქოს ამას მამის უკან დაბრუნება შეეძლო.

მერე სხვა სოფელში გადავიდნენ, სკოლიდან უფრო შორს, და ახლა უკვე ავტობუსით უწევდა იქ სიარული. ბინაში აღარსად ჩანდა წამლის შუშებისთვის განკუთვნილი თარო; დედასაც მოზეზრდა ტირილი და თმაც მოკლედ შეიჭრა – ხასიათის გამოწრთობა თუ მოინდომა. ამ ახალ, უწინდელთან შედარებით, პატარა სახლში არც მამის ფოტოები ჩანდა სადმე. დედაც უკვე უფრო იშვიათად ეუბნებოდა, კაცები ან ნაძირალები არიან, ანდა – უხერხემლოებიო. იმას კი მაღლივ უმეორებდა, ქალს სიმტკიცე მართებს და საკუთარ თავს თვითონვე უნდა მიხედოს, რადგან სხვა პატრონი არავინ გამოუჩნდებაო.

ამის პასუხად, მართამ ერთი გადანყვეტილება მიიღო: ყოველ დილით, სკოლაში წასვლამდე, სანოლის ქვემოდან თავსატეხის ყუთს გამოაძრობდა, თვალდახუჭული ახდიდა თავს და ალაღბედზე დასწვდებოდა ხოლმე რომელიმე საგრაფოს. ასე ბრმად – იმიტომ, მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი რომ არ გამოეჩინა, ვთქვათ, სამერსეტი ან ლანკაშირი. ცხადია, იორკშირს ისედაც სცნობდა,

რაკი მთლიანად თითებს ვერ შემოუნვდენდა, მაგრამ იორკშირი დიდად არასოდეს ჰყვარებია. უკვე ავტობუსში ასული, ხელს ზურგს უკან გადაიტანდა ხოლმე და თითებში მოქცეულ მუყაოს ნაგლეჯს ძირს აგდებდა. ერთი-ორჯერ სავარძლის საზურგეში ადრე ასე გადაგდებული რომელიღაც საგრაფოც იპოვა, რამდენიმე დღის თუ სულაც კვირის წინ თავიდან მოშორებული. მოსაშორებელი ორმოცდაათამდე საგრაფო ჰქონდა და ამიტომ, ამ საქმეს თითქმის მთელი სემესტრი მონადომა. რაც შეეხება ზღვასა და თავად ყუთს, ისინი სანაგვეზე მოისროლა.

არ იცოდა, რა იქნებოდა უკეთესი – დაემახსოვრებინა თუ სამუდამოდ დაევიწყებინა წარსული. ოღონდ ეგაა, ასეთნაირად ხასიათს ვერაფრით გამოიწრთობდა და თავს იიმედებდა, იმ გამოფენაზე ასე ხშირად ფიქრიც, თავისთავად, დიდი ვერაფერი ცოდვასო. აბა, რა ექნა – ეს მათი ბოლო ოჯახური გასეირნება გამოდგა და, ჯგლეთა-რუზრუზის მიუხედავად, იქაურობა მაინც ექიმებივით თეთრად მოსილი კაცების დადგენილი წესრიგით დაამახსოვრდა. ასე ეგონა, სკოლაში იქნება თუ შინ, ხშირად უსამართლოდ გექცევიან, ამგვარ გამოფენებზე კი სწორედაც რომ უზენაესი სამართლიანობა სუფევსო.

რალა თქმა უნდა, მთლად ასე და ამნაირად არ აყალიბებდა საკუთარ ფიქრებს, ოღონდ მაინც იკითხა – რა იქნება, მეც რომ მივიღო გამოფენაში მონაწილეობაო, და მაშინვე ენაზე იკბინა – ვაითუ დედა გამიბრაზდეს და ბროშურაც წამართვას, აქაოდა, სისულელეებით ნუ იტენი თავსო. მაგრამ დედამ მხოლოდ უხმოდ დაუქნია თავი და ბროშურაც თავადვე გადაშალა ზუსტად იმ გვერდზე, სადაც მუხის ფოთოლი ჩაედო მართას.

– ეს რალა? – იკითხა დედამ.

– ისე, ჩემთვის ვინახავდი, – მიუგო მართამ და ისევ შიში მოეძალა: ამაზეც გამიჯავრდება ან ჩამეძიებაო. არადა, დედას აღარაფერი უთქვამს და არც ფოთლისთვის უხლია ხელი. ბოლო დროს შექნილი მიზანდასახულობით, საბავშვო განყოფილებაში ჩამოთვლილ დასახელებებს ჩაუღრმავდა:

– რას აირჩევდი? აი, მაგალითად, წერია: *საფრთხოებელა, (მაქსიმალური სიმალლე 12 გოჯი), ანდა ქუდი (ხელით ნაქსოვი)...*

– მე ლობიოს ავირჩევდი.

– ეგ ამ განყოფილებაში არაა. აბა ერთი, მითითებებიც ვნახოთ... მეორე ქვეთავში გარკვევით წერია: „ლობიოს გამოფენის უფლება მხოლოდ გამოფენიდან სამი მილის რადიუსში მცხოვრებ მებალე-მეზოსტნიებს ეძლევათ“. მე მგონი, ჩვენ ამ მოთხოვნას სავსებით ვაკმაყოფილებთ. ერთი ეგაა, შენ როგორი მებალე-მეზოსტნი მყავხარ, მართა?

– მაგას მერე ვნახავთ... ჯერ თესლი სად ვიშვოვოთ?

ერთად დაბარეს უკანა ეზო, ცხენის ჩონჩორიკით რიგიანად გააჯერეს და დასათესადაც გაამზადეს იქაურობა. მერე უკვე მართას მარიფათზე მიდგა საქმე და იმანაც წინდანი გამოთვალა, გამოფენამდე რამდენი დღით ადრე უნდა ჩაეყარა თესლი მიწაში. არც ყურადღება დაუკლია ჩითილებისთვის – გულდაგულ რწყავდა, მიწას უფხვიერებდა, მარგლავდა... სკოლიდან დაბრუნებისთანავე თავის „ბოსტანს“ მიაკითხავდა ხოლმე. თან გულში იმ თავისი მოგონილი ლოცვის სიტყვებს ბუტბუტებდა – აქოდა, კარგი მოსავალი მომავალი ნანატრი ცხოვრების სანინდარიო... დედასაც ძალზე ეამაყებოდა შვილის გარჯაცა და თავგამოდებაც. მართას კი გული ეთანაღრებოდა – მისი ლობიო მთლად ბ-ნ ჯოუნზის მოწეულს რალაც არ ჰგავდა: თუ იმისი გლუვი იყო და სლიპინა, ერთიანად და ერთნაირად მწვანე, მართასი მთლად უზადო სიგლუვით ვერ გამოირჩეოდა და აქა-იქ ყვითელიც კი გადაკრავდა. დედამ დაამშვიდა – სანამ ჯერ ისევ იზრდება, ყველა ლობიო ამნაირიაო. მასაც კი სჭირდება ხასიათის წრთობაო...

გამოფენის გახსნის დღეს, შაბათს, ადრე ადგნენ და დედაც „მოსავლის“ აღებაში მიეხმარა მართას. მერე ჯერი გადარჩევაზე მიდგა. მართამ შინ შავი ხავერდის ნაჭრის მოძიება სცადა, მაგრამ შესაფერისი ვერაფერი იპოვა და გადანყვიტა, შავი ქალაღის ფურცლით გასულიყო იოლად. ეს ფურცელი დედამ წინდანი კი ასწორა უთოთი, მაგრამ მთლად უზადოდ გატყინებული მანც

არ ჩანდა. და აი, მართა უკვე მეზობლის მანქანის უკანა სავარძელზე ზის, კალთაზე შავქალაღღაფენილი ლანგარი უდევს და ხედავს, მოსახვევებში როგორ დაგორავენ ლობიოს მარცვლები იქით-აქეთ.

– ცოტა ნელა, – მკაცრად გასძახა მძღოლს.

უკვე ბოსტნეულის გამოსაფენ პავილიონში შესულს, თეთრხალათიანმა მეთვალყურემ საშვი გამოუწერა, რომელზეც მხოლოდ ნომერი იყო მითითებული (ჟიურის მისი ვინაობა არ უნდა სცოდნოდა) და გრძელ მაგიდასთან მიიყვანა, სადაც ყველა მონაწილე საკუთარ მონაგარს აბინავებდა. გამოჯეკილი მებოსტნეები მხიარულად გაიძახოდნენ – ნახეთ ერთი, ეს ვინ მოსულაო! თუმცა ცხოვრებაში პირველად ხედავდნენ მართას. „მორჩა შენი ჩემპიონობა, ჯოუნზი!“ – ესეც კი გადასძახა ერთმა მეორეს. მართას მაშინვე თვალში ეცა, რომ მისი მოყვანილი ლობიო არავისას არ ჰგავდა, მაგრამ ეტყობა, ყველას განსხვავებული ჯიში გამოეყვანა, ეს იყო და ეს. მერე ყველას პავილიონიდან გასვლა მოსთხოვეს, სანამ ჟიური შეაფასებდა წარდგენილ ნიმუშებს და საბოლოო გადანყევტილებას მიიღებდა.

გამარჯვებით ისევ და ისევ იმ ბატონმა ჯოუნზმა გაიმარჯვა; მეორე ადგილი ბ-ნ არვიცი-ვილაცას ერგო, ხოლო წამახალისებელი ჯილდო – ბ-ნ არ-მახსოვს-ვის. „შემდეგ ჯერზე გაგიმართლებს“, – ეუბნებოდა ყველა და გულის გასაკეთებლად, მხარზეც უთათუნებდნენ დაკოჟრილ ხელებს. *მომავალ წელს ყველას ჯიბეში ჩაგვისვამო*, – აიმედებდნენ გულკეთილი ბერიკაცები.

მოგვიანებით დედამაც დაამშვიდა – რაც გინდა თქვი, ეგეთიც ძაან გემრიელიაო... მართას არაფერი უპასუხია, მარტო ქვედა ტუჩი გამობზიკა ჯიუტად. „მაშინ შენს ნილსაც მე შევჭამ“, – უთხრა დედამ და მისი თეფშისკენ გაინვდინა ხელი, ოღონდ მართა იმისთანა მჟავე გუნებაზე იყო, არც ამ თამაშში აუბა მხარი.

დროდადრო დედამისს ვილაც მანქანიანი კაცები გამოუვლიდნენ ხოლმე. თვითონ მათ მანქანის ყიდვის ფული სად ჰქონდათ, და როცა მართა ხედავდა, რა უცებ ქრებოდა დედამისის ხელები, ღიმილი, სახე, იმასაც კი ფიქრობდა ხოლმე, სულ ხომ არ გაქრება

ოდესმეო. დედის მეგობარი კაცები ძალიანაც არ ეხატებოდა გულზე – ზოგი მის მოთაფვლას ცდილობდა, ზოგი კი, პირიქით, შორს იჭერდა მისგან თავს და კოპებშეკრული, ალბათ იმასაც ფიქრობდა, ესლა მაკლდა კიდევო. მართას, რატომღაც, ამისთანები ერჩინვა.

მაგრამ მთავარი ის კი არ იყო, დედა რომ ტოვებდა ხოლმე – მთავარი ის გახლდათ, თავად დედასაც რომ ტოვებდნენ ჯერიჯერზე. მართა ყურადღებით აკვირდებოდა მის ცხოვრებაში ამ შემთხვევით შემოხეტებულ ხალხს, ვინც ენის მოჩლექით ეკითხებოდა: აბა, სკოლაში რას გადიხართ? ტელევიზორში რას უყურებ?.. და იმათაც, ვინც მის გვერდით უხერხულად იშმუშნებოდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის დაქოქავდნენ ისევ თავიანთ მანქანებს. ასეთებსაც და ისეთებსაც ერთ ქვაბში უყრიდა თავს და ერთი სახელით ნათლავდა: „კაცები, ვინც დედას მხოლოდ ზედმეტ ტკივილს უჩენენ“. შეიძლება, იმნუთას არა, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველაფერი მაინც ტკივილით თავდებოდა. ამიტომაც, მერე და მერე რაღას არ იგონებდა – მაღალ სიცხეს, თვიურის შეკავებასა თუ სხვა რამ ისეთს, რაც დედის მხრიდან ზრუნვასა და შინ დარჩენას ითხოვდა.

– ნამდვილი მტარვალი მყავხარ! – ეუბნებოდა ხოლმე დედა-მისი ისეთი ხმით, სიყვარულსა და გაღიზიანებას შორის რომ მერყეობდა.

– მტარვალი ნერონი იყო, – პასუხობდა მართა.

– დედას შინიდან გასვლის უფლებას ხანდახან ალბათ ისიც კი აძლევდა ხოლმე!

– სიმართლე თუ გინდა, ნერონმა მშობელი დედა სულაც მოაკვლევინა, – ასე გვითხრა ქალბატონმა ჰენდერსონმა! – მთლად დაუკრეფავში გადადიოდა მართა.

– ასე თუ გააგრძელებ, იქით ჩაგიყრი სანამლავს საჭმელში! – ვალში არ რჩებოდა დედამისიც.

ერთ დღეს, ეზოში, თოკზე გამშრალ ზენრებს კეცავდა დედა-შვილი. უცებ, თითქოს თავისთვის, მაგრამ თან მართას გასაგონადაც, დედამ ჩაილაპარაკა:

– ეს ერთადერთი რამაა, რასაც ორი ადამიანი სჭირდება.

მერე უკვე ჩუმად აგრძელებდნენ; ჯერ განზე გაშლიდნენ (მკლავის სიგრძე არ გყოფნის, მართა!), მერე აწევდნენ, ზედა კუთხეს მოქაჩავდნენ, მარცხენა ხელს დაუშვებდნენ, ახლა მეორე კიდეს მოეჭიდებოდნენ, ირიბად გაქაჩავდნენ, მერე თავ-თავისკენ დაიქნევდნენ (უფრო მაგრად, მართა!), ერთმანეთისკენ დაიძრებოდნენ, პირს პირზე მიაღებდნენ, მოკეცავდნენ და შემდეგ ცალზე გადადიოდნენ.

ერთადერთი რამ, რასაც ორი ადამიანი სჭირდება. როცა ექაჩებოდნენ, ტილოს თითქოს დენი დაუვლიდა, რალაც იმგვარი ძალა, რაც ერთმანეთთან აერთიანებდათ, თითქოს მარტო ზენრის ამბავი არ იყო აქ. ნუთუ სულ ასე იქნებოდა?

– არა, შენ კი არ გგულისხმობდი! – თქვა დედამ და გულში ჩაიკრა.

– მამა რა ჯურისა იყო? – ჰკითხა მართამ იმავე საღამოს.

– რას ნიშნავს „რა ჯურის“?! მამაშენი... შენი მამა იყო, მოკლედ.

– ნაძირალა თუ უხერხემლო?

– აბა, რა გითხრა.

– აკი ამბობდი, სულ ორი ჯურისა არიანო. ის რომლისა იყო? დედამ რალაც დაეჭვებით გახედა.

– რა ვიცი... ალბათ უფრო უხერხემლო.

– მაგას როგორ ასხვავებ?

– უხერხემლო რომ იყო?

– საერთოდ... რის მიხედვით ასხვავებ ნაძირალას უხერხემლოსაგან?

– მართა, შენ ჯერ ამეებისთვის პატარა ხარ.

– უნდა ვიცოდე.

– რაში გჭირდება?

მართას მაშინვე არ უპასუხია. თვითონ კი იცოდა – რისთვის, მაგრამ თქმის ერიდებოდა. ბოლოს მაინც გაბედა:

– იგივე შეცდომები რომ არ დაუშვა, რაც – შენ.

ისევ დადუმდა. ეგონა, დედა ტირილს დაიწყებდა, მაგრამ დედამისს ეს თვისება უკვალოდ გაქრობოდა. ამის ნაცვლად, გულსგარეთ გაეცინა, რაც ბოლო დროს ხშირად ემართებოდა ხოლმე.

– არა, მაინც რა ჭკვიანი ბავშვი გამიჩინია... მოდი, დროზე ადრე ნუ გაიზრდები, მართა!

ეს რალაც ახალი იყო. ადრე ეუბნებოდნენ, ჯიუტი და თავკერდა ნუ იქნებიო, სისულელეებით თავს ნუ გამოიტენიო... ახლა კიდე – დროზე ადრე არ გაიზარდო.

– მაინც, რატომ არ მპასუხობ?

– რაც ვიცი, ყველაფერს გეტყვი. ოღონდ ერთადერთი პასუხი ესაა: კაცს მხოლოდ მაშინ შეატყობ, როცა უკვე ძალზე გვიანაა. მაგალითად ჩემივე ცხოვრება გამოდგება. იგივე შეცდომებს კი ნამდვილად ვერ ჩაიდენ. შეცდომა ყველას თავისი მოსდის. ესაა წესი.

მართა დაჟინებით მიაჩერდა.

– ვერ გეტყვი, დიდად დამეხმარე-მეთქი, – უთხრა ბოლოს.

თუმცა დროის გადასახედიდან, ეს საუბარი მაინც სასარგებლო გამოდგა. იზრდებოდა, ხასიათიც ენთოზობოდა, ნელ-ნელა იმ თავისი ქედმაღლობისა და სიჯიუტისგანაც თავისუფლდებოდა. იმდენი ჭკუა-გონებაც შეიძინა, მიმხვდარიყო, როდის სჯობდა თავის მოსულელება. მეგობრებიც გაიჩინა, ხალხშიც გამოვიდა და ახლებურ სიმარტოვესაც გაუგო გემო, ხოლო როცა სოფლიდან ქალაქში გადასახლდა, სამომავლო მოგონებების დაგროვებასაც შეუდგა. მაშინ გამოადგა დედისაგან მოსმენილი ის წესი – ყველა თავის შეცდომას უშვებსო. ამას ლოგიკური დასკვნა მოსდევდა, რაც მართას პირადი მრწამსის შემადგენლად იქცა: 25 წელს გადაცილებულ ადამიანს უკვე უფლება აღარ აქვს, რამე დააბრალოს მშობლებს. ცხადია, ის არ იგულისხმება, თუ მშობლებმა, სიტყვაზე, რამე საშინელება დაგმართეს – დაგამცირეს, ძალა იხმარეს, გაშიმშილეს, ანდა მეძავობისაკენ გიბიძგეს... მაგრამ ჩვეულებრივი ცხოვრების ჩვეულებრივი მდინარებისას, თუკი საშუალო გაქანება და ჭკუა-გონება მაინც გაგაჩნია, მშობლებისთვის რაიმეს გადაბრალება უკვე სრული უსინდისობაა. ცხადია, ზოგჯერ ვერც ამას

გაურბიხარ – არის ისეთი შემთხვევები, როცა ბრალის გადატანა მეტისმეტად დიდი ცდუნებაა: აი, თავის დროზე დანაპირები ციგურები რომ ეყიდათ, დევიდთან მეგობრობა არ დაეშალათ, ცოტა სხვანაირები რომ ყოფილიყვნენ – უფრო გულითადები, შეძლებულები, გამჭრიახები... მეტი სითბო გამოეჩინათ, ან თუნდაც სიმკაცრე, უფრო მეტად ამომდგომოდნენ მხარში, მეტად წავეხალისებინე, უფრო ხშირად შევექე... მაგრამ – ნურას უკაცრავად! რალა თქმა უნდა, ზოგჯერ მართაც ფიქრობდა ასე, სინანულს აყვებოდა ხოლმე, მაგრამ მალევე ერეოდა თავს და შეუძახებდა კიდეც – შენ შენი გზით უნდა იარო და შენივე ჭკუით იცხოვროო! გულისტკივილი და სინანული ბავშვობის ბუნებრივი თანამდევია, ოღონდ ბავშვობის დასრულებასთან ერთად, სხვების დადანაშაულებასაც უნდა დაუსვა ნერტილი.

არადა, არსებობდა ერთი პანანინა, მაგრამ გაუნელებლად მტკივნეული ნაიარევი, რომელიც ვერა და ვერ დაუამდა. უნივერსიტეტი დაამთავრა და ლონდონში დაბინავდა. ერთ დღესაც სამსახურში მაგიდას უჯდა და ისეთი სახე ელო, თითქოს მთელი არსებით ყოფილიყო საქმეში ჩაფლული. გული უსიამოდ მოწურვოდა – არა, ისეთიც არაფერი, უბრალოდ, ვილაც კაცთან არეოდა ურთიერთობა – ჩვეულებრივი, თითიდან გამონოვილი სადარდებელი გაეზუქებინა. თან თვიურიც მოსვლოდა. ეს ნამდვილად ახსოვდა. სწორედ ამ დროს დარეკა ტელეფონმა.

– მართა, ფილი ვარ.

– ვინ?

თვალწინ ვილაც ნაცნობი დაუდგა.

– ფილი, ფილიპი, მამაშენი!

უცებ ვერც მოიფიქრა, რა ეპასუხა. დუმილი გაუგრძელდა, რამაც თითქოს მისი მშობელიც დააეჭვა, მართლა თუ მივახვედრე, ვინ ვარო და ყურმილს ჩასძახა:

– მამა ვარ, შენი მამიკო!

მერე იყო და უთხრა, ეგებ შევხვდეთ სადმე, ერთად ვისადილოთო. ისეთი რესტორანი ვიცი, უთუოდ მოგეწონებაო. მართამ

ენას კბილი დააჭირა და აღარ უკითხავს, შენ რა იცი, მე რა მომეწონება და რა – არაო. ფილი კი თავისას აგრძელებდა – სათქმელი დამიგროვდა, თუმცა ამ შეხვედრიდან ბევრს არაფერს გამოველიო. ამაზე მართაც დაეთანხმა.

მერე მეგობრებს დაეკითხა რჩევას. ზოგი ეუბნებოდა, პირდაპირ მიახალე, რასაც მასზე ფიქრობო; სხვები ურჩევდნენ, გაიგე ერთი, რა უნდა, ამდენი ხნის მერე ტყუილად არ გამოჩნდებოდაო. ვილაცხვებ საერთოდ არ მიაჩნდათ შეხვედრა გამართლებულად; ვილაცხვების აზრით, დედისთვის უნდა ეთქვა ყველაფერი; სხვები, პირიქით, სთხოვდნენ, რაც არ უნდა გადანყვიტო, დედაშენს არაფერი უთხრაო. ზოგის აზრით, ამ შეხვედრაზე ფილზე ადრე უნდა მისულიყო, სხვები კი ურჩევდნენ, ალოდინე ის გათახსირებულიო.

რესტორანი ძველმოღური, ერთიანად მუხით განწყობილი რამ გამოდგა და იქაური ასაკოვანი მიმტანებიც ისე დაელალა ცხოვრებას, უკვე საკუთარი საქმიანობაც აშკარად მობეზრებოდათ. ცხელი დღე იდგა, მაგრამ მენიუში მხოლოდ მძიმე, ინგლისური კლუბებისათვის ჩვეული კერძები შეეტანათ. ფილი დაჟინებით სთხოვდა, არ მოგერიდოს, რაც მოგეწონება, ყველაფერი შეუკვეთეო, მართა კი იპრანჭებოდა და ყველაფერს უარობდა. ფილი საუკეთესო ღვინოსაც სთავაზობდა, ამან კი, ჯიბრზე, წყლის მეტს არაფერს დააკარა პირი. პასუხითაც ისე პასუხობდა შეკითხვებს, თითქოს კითხვარს ავსებხო: *კი, არა, მე მგონი, არ ვიცი...* ძალიან ლამაზი ქალი დამდგარხარო, – უთხრა მამამ და ეს ქათინაური მართას სრულიად უადგილოდ მოეჩვენა; არც კვერის დაკვრის სურვილი ჰქონდა და არც შეკამათების, ამიტომ – *ალბათო, ჩაილაპარაკა.*

– მართლა ვერ მიცანი? – ჰკითხა მამამ.

– ვერა, დედაჩემმა შენი ყველა სურათი დანვა.

მართალს ეუბნებოდა და ფილიც ეგებ უფრო მკაცრ განაჩენსაც კი იმსახურებდა. ახლა ის ქალიშვილის პირისპირ იჯდა მაგიდასთან, მობერებული, სახეაჭარხლებული, თმაგათხელებული კაცი. მართამ წინდანიწვე ჩააგონა თავს, ამ შეხვედრიდან დიდს არაფერს უნდა ველოდოო, მაგრამ მამამისი მაინც ნავარაუდევზე

ბევრად უფრო მოტეხილი და შეფერტხილი ეჩვენა. მიხვდა, მთელი ეს ხანი სულ ყალბ ვარაუდებს ელოლიავებოდა. ბოლო თხუთმეტი თუ კიდევ უფრო მეტი წელი თავს ჩააგონებდა, რომ თუ ნახვედი და გაქრი, თუკი ცოლ-შვილი მიატოვე, მხოლოდ უკეთესი ცხოვრების გამო მოიქეცი ასე – მეტი ბედნიერების, მეტი სიყვარულის, მეტი ფულის, იმის სიჭარბის გამო, რაც წინა ცხოვრებაში დაგაკლდა... ამ კაცის შემხედვარე კი, ვინც საკუთარ თავს „ფილს“ უწოდებდა, მხოლოდ იმას იფიქრებდი, ბევრად უარესად წასვლია საქმე, ვიდრე შინ დარჩენილს წაუვიდოდაო. თუმცა, ვინ იცის, ეგებ მართა შეგნებულად იტყუებდა თავს და ცდილობდა, სწორედ ამგვარად დაეხატა ვითარება?

ფილმა თავისი ამბავი მოუთხრო და მართას ოდნავი სურვილიც არ გასჩენია, მისი ტყუილ-მართალი გამოეძიებინა. თურმე ნუ იტყვით, ვიღაც შეყვარებოდა და ამ გრძნობას ვერაფრით მორეოდა. არა, ამას თავის გასამართლებლად არ ამბობდა – უბრალოდ, მიეჩნია, რომ სიმართლე უნდა ეთქვა და ოჯახიდან წასვლაც უფრო პატიოსანი ნაბიჯი იქნებოდა. ახლა მართას თურმე უკვე ნახევარძმაც ჰყავდა, სახელად რიჩარდი. „კარგი ბიჭია, თუმცა ჯერაც ვერ გაურკვევია, რა გზას ენიოს ცხოვრებაში...“ მის ასაკში ეს სრულიად ბუნებრივი ჩანდა. *სტეფანი* – ეს სახელი ისე გაისმა, თითქოს მართას თეფშზე მოუხეშავი ხელით წაქცეულმა ჭიქამ გაიღო ჭახანო – იგივე *სტეფი*, სამი თვის წინ გარდაცვლილიყო. კიბო საზიზღარი რამაა. დიაგნოზი ხუთი წლის წინ დაესვათ, მკურნალობის შედეგად, თითქოს უკეთესობაც დასტყობოდა, მაგრამ მერე და მერე ავადობას ახალი ძალით ეფეთქა, რასაც უკვე ველარაფერს უშველიდი. აი, ასე და ამგვარად.

ეს ყველაფერი მართას ყალბად და არადამაჯერებლად კი არა, უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა, სრულიად გამოუსადეგრად მის სულში გაჩენილი, თითქოსდა პანანინა ხერხით გამოჭრილი სიცარიელის ამოსავსებად. ნოტინგემშირი დამიბრუნეო, – აჯახა უცებ.

– რაო?

– როცა ნახვედი, შარვლის ჯიბეში ნოტინგემშირი გედო.

– მართლა? მე კი მეგონა, რაღაც სწორად ვერ გავიგე-მეთქი...
– მაშინაც იმ თავსატეხს ვაწყობდი, ინგლისის საგრაფოებს... –
თქვა და იქვე ინანა: არა, კი არ შერცხვა, მოეჩვენა, თითქოს უცებ
ზედმეტად გულახდილი გახდა. – შენ რომელიმე ნაწილს დამიმალავდი
ხოლმე და მერე ვითომ ისევ პოულობდი... იმ ჯერზე კი
ნოტინგემშირი გააყოლე ხელს. რა, აღარ გახსოვს?

ფილმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– შენ რა, თავსატეხებს აწყობდი? თუმცა ალბათ ყველა ბავშვს
უყვარს ეგ გასართობი... რიჩარდიც მაგით ერთობოდა ცოტა ხანი.
ოღონდ იმისა რაღაც ძალიან რთული იყო. ღრუბლები და რაღაც
მაგნიტები. თავს და ბოლოს ვერ გაუგებდი, სანამ სანახევროდ
მაინც არ ააწყობდა.

– მოიცა, მართლა არ გახსოვს?

ფილი დაბნეული მზერით მიაცქერდა.

– მართლა? ნამდვილად არაფერი გახსოვს?

აი, ამას ვერასოდეს დაუვიწყებდა. უკვე ოცდახუთის იყო, მერე
და მერე მეტისაც გახდებოდა, ბევრად მეტისაც, საკუთარ გზასაც
ნახავდა ცხოვრებაში, მაგრამ ამ დანაშაულს მაინც არ აპატიებდა.